განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი N1*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია

**შეფასების თარიღები: 13, 14, 15 დეკემბერი, 2022**

**დასკვნის წარდგენის თარიღი: 20 იანვარი, 2023**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | ს/კ 2212823896 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. წყალტუბო, |
| იურიდიული მისამართი | 9 აპრილის მე-3 შესახვევი N-12 |
| ფაქტობრივი მისამართი | 9 აპრილის მე-3 შესახვევი N-12 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| საფოსტო ინდექსი | 5400 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | gabrielisgimnazia.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | wmgabrielisgimnazia@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 0(436) 22-21-17.599-945-227; 599 555-072 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599 945-227; 599 555-072 |
| ელ-ფოსტა | wmgabrielisgimnazia@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 01 ნოემბრის MES 5 22 0001385775 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 13, 14, 15 დეკემბერი, 2022 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბაცანკალაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ჭიაბერაშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| ***სტანდარტი*** | ***საგანმანათლებლო პროგრამები*** | ***ხარვეზი*** |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.2.* | .............. |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ………….. |
| | *1.2.* | …………… |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.4* | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სველი წერტილის სრულად ადაპტირების შესახებ. N 1/22-003 ხელშეკრულების ფარგლებში, სკოლა განაახლებს სსსმ მოსწავლეთათვის საპირფარეშოს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სველი წერტილის სრულად ადაპტირების ამსახველი ფოტო-მასალა. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია 2008 წელს დაარსდა. დაწესებულება უსასყიდლოდ, გადასახადის გარეშე, განახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას სამივე საფეხურის მოსწავლეთათვის. გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებისა, გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით სავალდებულო და ფაკულტატურ მომსახურებას, ასევე გადასახადის გარეშე. სკოლაში მიმდინარეობს მრავალფეროვანი მამოტივირებელი აქტივობებით სწავლება, ხორციელდება საინტერესო სასწავლო და კლასგარეშე პროექტები სამოქალაქო განათლების, მეწარმეობისა და ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის მისიაა აღზარდოს გონებრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მართლმადიდებლური ღირებულებების მატარებელი თაობა, რომელთაც შეეძლებათ ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და კულტურის მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. მათდამი პატივისცემის გაცნობიერება და ხელშეწყობა.<br><br>გიმნაზიაში არის უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო-სასწავლო გარემო, სწავლა-სწავლებისთვის აუცილებელი ყველა პირობით. გიმნაზია ამზადებს მოზარდებს საზოგადოებაში საკუთარი ადგილის თვითდამკვიდრებისადარეალიზაციისთვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქ. ჩაჩანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:<br>330</td><td>ექსპერტი ეთანხმება<br>☒</td><td>აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტი არ ეთანხმება<br>☐</td><td></td></tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიამ (შემდგომში "გიმნაზია"), წარმოადგინა 2022 წლის 7 სექტემბერს პედსაბჭოს სხდომაზე განხილული და 2022 წლის 9 სექტემბერს რექტორის N68 ბრძანებით დამტკიცებული 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტებს: "ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს" და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდგომი ნაწილებისაგან:<br><br>• ზოგადი დებულება;<br>• სწავლა-სწავლების მიდგომები - აკადემიური პროგრამა;<br>• ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები;<br>• საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება;<br>• გიმნაზიის საორგანიზაციო კულტურა;<br>• სადამრიგებლო პროგრამა;<br>• გიმნაზიის საგნობრივი კათედრები და მათი ფუნქციები;<br>• სასკოლო საათობრივი ბადე;<br>• საგანმანათლებლო რესურსები;<br>• დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ● შეფასების სისტემა;<br>● ინკლუზიური განათლება;<br>● არაფორმალური განათლება.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში დაზუსტებულია სასწავლო წლის კალენდარი, არდადეგები და დასვენების დღეები, გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების დრო, გაკვეთილებს შორის შესვენებები.<br><br>საათობრივ ბადეში განსაზღვრულია როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების კვირეული დატვირთვა თითოეული კლასის მიხედვით, ასევე დამატებითი სავალდებულო საგნების ჩამონათვალი. თითოეულ საკლასო ოთახში გამოკრულია გაკვეთილების ცხრილი, რომელიც ასევე შეტანილია ელექტრონულ ჟურნალში "Edupage".<br>დაწესებულებას საპილოტე სახით შემოტანილი აქვს მეათე კლასში მოსწავლეთა დიფერენცირებული მიმართულებებით სწავლება. X (საპილოტე) კლასის სათობრივი განმარტება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:<br><br>➢ ქართ. ენა და ლიტერატურა ისწავლება -კვირაში 7 საათი (კლასი იყოფა);<br>➢ პირველი უცხოური ენა (ინგლისური) ისწავლება კვირაში 5 საათი (კლასი იყოფა);<br>➢ ისტორია გაღრმავებული (მოსწავლეთა არჩევით) - კვირაში 5 სთ;<br>➢ ისტორია (სავალდებულო) - კვირაში 3 საათი (საქართველოს ისტორია 2 სთ, ისტორია 1 სთ);<br>➢ მათემატიკა გაღრმავებული (მოსწავლეთა არჩევით) - კვირაში 7 სთ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ➢ მათემატიკა (სავალდებულო) - კვირაში 3 სთ.<br><br>აღნიშნული მოდელი, როგორც მთლიანად დაწესებულების საათობრივი ბადე, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (სამინისტროს წერილი MES 3 22 0000849283, 27/07/2022 ).<br><br>ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, 2022-2023 სასწავლო წელს განსაზღვრულია არჩევითი საგანების შემდგომი ჩამონათვალი: X-XI კლასებში - კომპიუტერული მეცნიერებები, XII კლასებში - კომპიუტერული პროგრამირება და ეკონომიკის საფუძვლები. წარმოდგენილია აღნიშნული არჩევითი საგნების პროგრამები. X კლასში ასევე შეთავაზებულია პროექტული სწავლება სამოქალაქო განათლებასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.<br><br>სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს შემდეგ საგნებს:<br><br>● საღვთო სჯული - კვირაში 1 საათი I–XII კლასებში;<br>● ქრისტიანული ეკლესიის ისტორია - კვირაში 1 საათი V–IX კლასებში;<br>● საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია - კვირაში 1 საათი X–XII კლასებში.<br><br>მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული საგნები საინტერესოა მათთვის, ვინაიდან მოიცავს მსჯელობას და დისკუსიას, კითხვა-პასუხის ფორმატს, საკითხებისა და თემატიკის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას და პარალელის გავლებას. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილებზე წახალისებულია აკადემიური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ––––––––––––––––

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცნობისმოყვარეობა, შეკითხვების დასმა, საკუთარი მოსაზრების გამოხატვა.<br><br>გარდა დამატებითი სავალდებულო საგნებისა, არაფორმალური განათლების მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, გიმნაზიაში 2022–2023 სასწავლო წელს ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები და წრეები:<br><br>1. უცხოური ენის (ინგლისური ენა) წრე - (I-IV კლასები);<br>2. კლუბი - რა? სად? როდის?<br>3. სამოქალაქო განათლების კლუბი - „ერთობა“;<br>4. სამეწარმეო კლუბი - „კრეატორები“;<br>5. ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი წრე (II-VII კლასები);<br>6. STEM წრე (VII-IX კლასები).<br><br>დაწესებულებამ წარმოადგინა ფაკულტატური მომსახურების სამუშაო პროგრამები, რომლებშიც დაკონკრეტებულია მიზნები, ხანგრძლივობა და ვადები, მეცადინეობის დრო, საჭირო რესურსები და საკითხთა ჩამონათვალი.<br><br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ფიქსირდებოდა რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შეცოდმა, რაც გადამოწმდა და შესწორდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.<br><br>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან, ემსახურება სკოლაში მისიით განსაზღვრული ფასეულობების დამკვიდრებას, რაც დასტურდება სკოლის დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების თემატიკით, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სადამრიგებლო პროგრამით და განხორციელებული თუ დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და დანართები;<br>2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი საათობრივი ბადის შეთანხმებასთან დაკავშირებით (MES 3 22 0000849283, 27/07/2022);<br>3. კათედრების საქაღალდეები;<br>4. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>5. მოსწავლეებტან გასაუბრება;<br>6. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. აღნიშნული ნათლად დასტურდება მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით, ასევე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლით.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების შესაბამისი პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულებაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა.<br><br>1. დაწყებითი კლასების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა;<br>2. ქართული ენა-ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;<br>3. უცხოური ენების კათედრა;<br>4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 5. მათემატიკა-ისტის კათედრა.<br><br>კათედრების საქაღალდეებში წარმოდგენილია კათედრის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, კერძოდ: კათედრის დებულება, კათედრის სამუშაო გეგმა, კათედრის ოქმი, შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზები, ურთიერთდასწრების განრიგი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებები, საგნობრივი კურიკულუმები და თემატური გეგმები.<br><br>შემაჯამებელი დავალებების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ერთგვარად გამიჯნულია შემაჯამებელი დავალება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებისგან. სკოლაში ყველა საგანში მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების განხორციელება, მაგრამ მათ არ აქვთ სტატუსი ,,შემაჯამებელი”. **ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რჩევა, შემაჯამებელი დავალების ფარგლებში მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი, კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. აღნიშნული რჩევა გაზიარებულ იქნა სკოლის მიერ.**<br><br>სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, გიმნაზია ახორციელებს პროექტულ სწავლებას და ინტეგრირებულ აქტივობებს. მიმდინარე სასწავლო წელს დაწესებულებას შერჩეული აქვს პრიორიტეტული თემა - გარემოს დაცვა. აღნიშნული თემის ფარგლებში, ხორციელდება საგანმათლებლო აქტივობები საგაკვეთილო პროცესში კომპლექსური დავალებების შესრულებით, ხოლო არაფორმალურ განათლებაში - სპორტული, სახელოვნებო, საწრეო და საკლუბო აქტივობებით (მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით). გარდა ამისა, გიმნაზიაში 2022-2023 წელს ხორციელდება სასკოლო პროექტი სათაურით “ერთად ჩვენი გარემოსთვის!”. პროექტის მიზანია, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა და ადგილობრივი თემის წევრებმა გაიაზრონ გარემოს დაცვის მნიშვნელობა მათი უსაფრთხო ცხოვრებისთვის. პროექტის აქტივობები ითვალისწინებს პრობლემის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კვლევას, დასუფთავებისა და გამწვანების აქციებს, ხეების დარგვის, ბუნებაში გასვლის, ტბაში თევზების გაშვებისა და გარემოს დღის აღნიშვნის ღონისძიებებს, რაც მთელი წლის განმავლობაში განხორციელდება.<br><br>მოსწავლეთა ინტერესები და სურვილები სხვა მხრივაც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. გიმნაზიის აღსაზრდელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ინგლისური ენის პედაგოგისა და ადმინისტრაციის წევრების მხარდაჭერით მოსწავლეებმა განახორციელეს არაერთი საინტერესო ღონისძიება ეკოლოგიის მიმართულებით: კერძოდ, სკოლის მიმდებარე ტერიტორია, ეზო და საკლასო ოთახები აღიჭურვა მაკულატურისა და პლასტმასის ნარჩენების დისპენსერებით, ეზოში განთავსდა მოსასვენებელი სკამები, იგეგმება ბზის კულტურისა და სხვა ენდემური ჯიშების მოშენება სამეწარმეო პროექტის განსახორციელებლად. მოსწავლეთა მონაწილეობით შეიქმნა და დაიბეჭდა 2023 წლის საეკლესიო კალენდარი, რომლის რეალიზაციით მიღებული თანხა მოხმარდება ქველმოქმედებას.<br><br>გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლით, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და კათედრების საქაღალდეების გაცნობით დასტურდება, რომ გიმნაზია სამივე საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნის შეძენას და უნარების განვითარებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. კათედრების საქაღალდეები;<br>3. მასწავლებლების პორტფოლიოები;<br>4. მოსწავლეთა ნამუშევრები;<br>5. საგნამანთლებლო პროექტების დოკუმენტაცია;<br>6. მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>7. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>8. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიიის სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროექტები და დამატებითი საგანმანათლებლო ღონისძიებები იგეგმება და იქმნება მოსწავლეთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით. მრავალფეროვანი აქტივობები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სამოქალაქო განათლების, უცხოური ენების და სხვა ინტერდისციპლინური მიმართულებების ჭრილში, ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენას და პიროვნულ განვითარებას.<br><br>სკოლაში ამჟამად არ ირიცხება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, თუმცა გიმნაზიას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა ყველა აუცილებელი კომპონენტით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. მოსწავლეთა ნამუშევრები;<br>3. მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>4. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების მიდგომებთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | სკოლის შეფასების სისტემაში დაკონკრეტებულია მოსწავლის შეფასების კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი, შემაჯამებელი დავალებების განხორციელებისა და აღდგენის ვადები.<br><br>სკოლაში მოქმედებს ხუთდონიანი და ათქულიანი შეფასების სისტემა. კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერი 5,5 ქულაა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო და ექსტერნატის ფორმის გამოცდები.<br><br>შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. მშობლები და მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ დაძლევის შედარებით მაღალი ბარიერი (5,5) ზრდის უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევის მოტივაციას და აუმჯობესებს საგნობრივი ცოდნისა და უნარების დონეს მოსწავლეთა შორის.<br><br>განსხვავებულ ბარიერთან მიმართებით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლეთა მიღების წესები; კერძოდ:<br><br>„1.4. გიმნაზია უფლებამოსილია მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების მიხედვით ცოდნის დონე.<br>1.5. მოსწავლეს შეიძლება უარი ეთქვას გიმნაზიაში ჩარიცხვაზე, თუ გიმნაზიის სასკოლო-სასწავლო გეგმის ბარიერის მიხედვით დადგენილ დონეს („5,5“ ქულა ან მეტი) ვერ დააკმაყოფილებს, ასევე თუ შემოსული განცხადებების რიცხვი აჭარბებს გიმნაზიაში მისაღებ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობას.“<br><br>**დაწესებულებას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილოს დაძლევის მაღალი ბარიერის (5,5 ქულა) საჭიროების საკითხი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მიიღებს გადაწყვეტილებას მაღალი ბარიერის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **193/ნ ბრძანებასთან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საათობრივი ბადიდან დაწესებულებამ უნდა შეარჩიოს ის პრიორიტეტული / გაძლიერებული სტატუსის მქონე საგნები, რომლებშიც ჩაატარებს გასაუბრებას / გამოცდას მობილობის მსურველი მოსწავლის ჩარიცხვამდე.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც აღწერილია ბარიერთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. აღნიშნულ ოქმში ვკითხულობთ, რომ სასკოლო საზოგადოება დადებითად აფასებს აღნიშნულ შიდა ბარიერს 5.5 და არ ცვლის მას.<br><br>პედ.საბჭოს გადაწყვეტილებით ცვლილებები შეტანილია შინაგანაწესში. კონკრეტულად, ქვეთავში „რეკომენდაცია მშობლებისთვის გიმნაზიაში მოსწავლეთა მობილობის შემთხვევაში“, მუხლი 1.4 და მუხლი 1.5 ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:<br><br>„გიმნაზია უფლებამოსილია, თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში ჩაატაროს მისაღებ მოსწავლესთან სარეკომენდაციო გასაუბრება/ტესტირება გიმნაზიის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საათობრივი ბადის პრიორიტეტული/გაძლიერებული სტატუსის მქონე საგნებში. მისი მიზანია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გადმოსვლის მსურველ მოსწავლეს დაეხმაროს მის მიერ გავლილ და გიმნაზიაში არსებულ მასალებს შორის შესაბამისობის ხარისხის დადგენაში; მასალებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობის შემთხვევაში გაეწიოს რეკომენდაცია ინდივიდუალური მუშაობისთვის. გიმნაზიაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, მისთვის პროცესი რომ არ იყოს რთული და საჭიროებისდა მიხედვით გააუმჯობესოს მისი აკადემიური მაჩვენებლები. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსწავლის გადმოყვანამდე, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გიმნაზია ვალდებულია, მშობელს გააცნოს გიმნაზიის სასკოლო-სასწავლო გეგმა და შინაგანაწესი“.<br><br>არსებული რედაქციით, აღარ არის ჩანაწერი მიღების გაზრდილ ბარიერთან დაკავშირებით.<br>**ექსპერტთა მოსაზრებით, დადებითი ტენდენციაა შინაგანაწესში იმ გაძლიერებულ საგნებში გასაუბრების ხაზგასმა, რომლებსაც პრიორიტეტი აქვთ მინიჭებული სამინისტროსთან შეთანხმებულ საათობრივ ბადეში. ამ მხრივ სკოლა შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 193/ნ ბრძანებასთან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“.**<br><br>**ექსპერტთა მოსაზრებით, მოსწავლეთა მიმართ თანაბარი მიდგომის შესანარჩუნებლად, მიზანშეწონილია გაზრდილი ბარიერი შენარჩუნდეს როგორც შიდა, ასევე სკოლაში გადმომსვლელი მოსწავლეების შესაფასებლად. ან გადაიხედოს, და ესგ-ს შესაბამისად, აღნიშნული ბარიერი გახდეს 5.0 როგორც შიდა შეფასებისას, ასევე სკოლაში მოსწავლეთა გადმოსვლის დროს.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. გიმნაზიის შინაგანაწესი;<br>3. კათედრების საქაღალდეები;<br>4. მოსწავლეთა ნამუშევრები;<br>5. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>6. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლის მიზანია მშობელსა და სკოლას შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება და ხელშეწყობა. დებულებაში განსაზღვრულია გიმნაზიისა და მშობლების (კანონიერი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმომადგენლების) უფლება-მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი და მშობელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები.<br><br>დებულებაში გათვალისწინებულია ისეთი საგანმანთლებლო - საინფორმაციო ღონისძიებების მოწყობა, რომლებიც დაეთმობა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას:<br><br>➢ მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;<br>➢ შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;<br>➢ ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;<br>➢ ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;<br>➢ ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;<br>➢ ჯანსაღი ცხოვრების წესი;<br>პერსონალური მონაცემების დაცვა;<br>➢ სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.<br><br>დაწესებულება სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით Edupage. მშობლებთან გასაუბრების დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ ელექტრონული ჟურნალი ეფექტური საშუალებაა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მშობლებს აქვთ მუდმივი წვდომა ელექტრონულ სისტემასთან, სადაც ყოველდღიურად ფიქსირდება მონაცემები მოსწავლეთა დასწრების, შეფასებისა და შესასრულებელი დავალებების შესახებ.<br>მოსწავლეებთან და მათ ოჯახებთან კომუნიკაციის პროცესში აქტიურ როლს ასრულებენ დამრიგებლები, რომელთა შესახებ ნდობით საუბრობენ როგორც მშობლები, ისე გიმნაზიის აღსაზრდელები.<br><br>დაწესებულებაში ფუნქციონირებს მშობელთა სათათბირო. შემუშავებულია სათათბიროს დებულება, რომელიც განსაზღვრავს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სათათბიროს მიზნებსა და ამოცანებს, სათათბიროს ფუნქციებს, თავმჯდომარისა და წევრების არჩევისა და სხდომების ჩატარების წესს. ინტერვიურიებისას მშობლები აღნიშნავენ, რომ სკოლასთან კომუნიკაციის დროს არ ექმნებათ არანაირი ბარიერი; ნებისმიერი საკითხის მოგვარების პროცესში, ისინი, პირველ რიგში, მიმართავენ დამრიგებელს, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს სხვა მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან. მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში ყოველი კვირის პარასკევი განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრის დღედ, როდესაც მშობლებს შეუძლიათ ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.<br><br>მშობელთა სათათბიროს დებულებისა და მშობლებთან ურთიერთობის დებულების შესწავლით, ასევე მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებასა და მშობლებს შორის დამყარებულია თანამშრომლობითი ურთიერთობა და ჯანსაღი კომუნიკაცია მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. მშობელთა სათათბიროს დებულება;<br>2. მშობლებთან ურთიერთობის დებულება;<br>3. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>4. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>5. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიაში დანერგილია სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო გეგმის შეფასების ინსტრუმენტებს და შეფასების პროცედურას. დოკუმენტში გაწერილი მექანიზმი ემსახურება სასკოლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასებას, ხარვეზების გამოვლენას და შემდგომი გაუმჯობესების გზების დასახვას.<br><br>გარდა ამისა, დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან გიმნაზიის პრორექტორები, ხარისხის მართვის მენეჯერი და კათედრების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი კანდიდატურები. აღნიშნული ჯგუფი აწარმოებს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და ზრუნავს მის გაუმჯობესებაზე. კერძოდ, გიმნაზიის ხარისხის ჯგუფის მიზანია:<br><br>● გიმნაზიის პედაგოგთა სასწავლო პროცესის ხარისხსა და ორგანიზებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასება და ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა;<br>● მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასება;<br>● მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა.<br><br>ჯგუფის შეხვედრები იმართება სისტემატიურად, საჭიროებისმებრ, მაგრამ აუცილებლად სემესტრის დასაწყისსა და სემესტრის ბოლოს. ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეუძლია მოიწვიოს სხდომა, ჯგუფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ჯგუფი შეიძლება შეიკრიბოს თუ მას ესწრება მინიმუმ ჯგუფის წევრთა 3/4. ჯგუფი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.<br><br>კათედრების ხელმძღვანელები რეგულარულად ახორციელებენ პედაგოგების საქმიანობის მონიტორინგს. გარდა ამისა, დაწესებულებაში დამკვიდრებულია კოლეგების ურთიერთდასწრების ტრადიციაც. გასაუბრების დროს, პედაგოგებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს ახალი მასწავლებლების მიმართ მხარდაჭერისა და უკუკავშირის მნიშვნელობა. კათედრის წევრები სისტემატიურად განიხილავენ გაკვეთილების გეგმებს და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე, გეგმავენ სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელ ნაბიჯებს. სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმის შეფასება ხდება მასწავლებლების და კათედრების მიერ შემდეგი აქტივობებით: გაკვეთილებზე დასწრება-ანალიზი, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა შეფასებების ანალიზი.<br><br>საგანმანთლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულია მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ანონიმური კითხვარები. პერიოდულად ტარდება მშობელთა კმაყოფილების კვლევა, მოსწავლეთა საჭიროების კვლევა და მასწავლებელთა საჭიროების კვლევა. ამ კითხვარების ანალიზის საფუძველზე ადმინისტრაცია გამოკვეთს სასწავლო პროცესში მონაწილეთა საჭიროებას, გეგმავს რეაგირების გზებს და რიგ შემთხვევებში, ნერგავს ცვლილებებს სასკოლო სასწავლო გეგმაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის დოკუმენტი;<br>2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. კათედრების საქაღალდეები;<br>4. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კითვარები;<br>5. კოლეგების ურთიერთდასწრების ფორმები;<br>6. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | **ქვესტანდარტი 1.2.**<br><br>**ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რჩევა, შემაჯამებელი დავალების ფარგლებში მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი, კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. აღნიშნული რჩევა გაზიარებულ იქნა სკოლის მიერ.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **ქვესტანდარტი 1.4.**<br><br>**დაწესებულებას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილოს დაძლევის მაღალი ბარიერის (5,5 ქულა) საჭიროების საკითხი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მიიღებს გადაწყვეტილებას მაღალი ბარიერის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 193/ნ ბრძანებასთან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საათობრივი ბადიდან დაწესებულებამ უნდა შეარჩიოს ის პრიორიტეტული / გაძლიერებული სტატუსის მქონე საგნები, რომლებშიც ჩაატარებს გასაუბრებას / გამოცდას მობილობის მსურველი მოსწავლის ჩარიცხვამდე.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც აღწერილია ბარიერთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. აღნიშნულ ოქმში ვკითხულობთ, რომ სასკოლო საზოგადოება დადებითად აფასებს აღნიშნულ შიდა ბარიერს 5.5 და არ ცვლის მას.<br><br>პედ.საბჭოს გადაწყვეტილებით ცვლილებები შეტანილია შინაგანაწესში. კონკრეტულად, ქვეთავში „რეკომენდაცია მშობლებისთვის გიმნაზიაში მოსწავლეთა მობილობის შემთხვევაში“, მუხლი 1.4 და მუხლი 1.5 ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:<br><br>„გიმნაზია უფლებამოსილია, თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში ჩაატაროს მისაღებ მოსწავლესთან სარეკომენდაციო გასაუბრება/ტესტირება გიმნაზიის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საათობრივი ბადის პრიორიტეტული/გაძლიერებული სტატუსის მქონე საგნებში. მისი მიზანია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გადმოსვლის მსურველ მოსწავლეს დაეხმაროს მის მიერ გავლილ და გიმნაზიაში არსებულ მასალებს შორის შესაბამისობის ხარისხის დადგენაში; მასალებს შორის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მნიშვნელოვანი შეუსაბამობის შემთხვევაში გაეწიოს რეკომენდაცია ინდივიდუალური მუშაობისთვის. გიმნაზიაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, მისთვის პროცესი რომ არ იყოს რთული და საჭიროებისდა მიხედვით გააუმჯობესოს მისი აკადემიური მაჩვენებლები. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსწავლის გადმოყვანამდე, გიმნაზია ვალდებულია, მშობელს გააცნოს გიმნაზიის სასკოლო-სასწავლო გეგმა და შინაგანაწესი“.<br><br>არსებული რედაქციით, აღარ არის ჩანაწერი მიღების გაზრდილ ბარიერთან დაკავშირებით.<br><br>**ექსპერტთა მოსაზრებით, დადებითი ტენდენციაა შინაგანაწესში იმ გაძლიერებულ საგნებში გასაუბრების ხაზგასმა, რომლებსაც პრიორიტეტი აქვთ მინიჭებული სამინისტროსთან შეთანხმებულ საათობრივ ბადეში. ამ მხრივ სკოლა შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 193/ნ ბრძანებასთან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“.**<br><br>**ექსპერტთა მოსაზრებით, მოსწავლეთა მიმართ თანაბარი მიდგომის შესანარჩუნებლად, მიზანშეწონილია გაზრდილი ბარიერი შენარჩუნდეს როგორც შიდა, ასევე სკოლაში გადმომსვლელი მოსწავლეების შესაფასებლად. ან გადაიხედოს, და ესგ-ს შესაბამისად, აღნიშნული ბარიერი გახდეს 5.0 როგორც შიდა შეფასებისას, ასევე სკოლაში მოსწავლეთა გადმოსვლის დროს.** |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 2400კვ.მ | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: N01 შენობის ფართი - სართული 1-ლი-191,25კვ.მ. სართული მე-2 -191,25 კვმ. N02 შენობის ფართი - 758.1 კვ.მ საერთო ფართი - 809 კვ.მ | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია განთავსებულია ორსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად მიწის საერთო ფართობი შეადგენს 2400 კვ.მ-ს. სასწავლო მიზნისათვის განკუთვნილი შენობის საერთო ფართი კი არის 809 კვ.მ. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით შენობა N01 არის ორსართულიანი და თითოეული სართულის ფართია 191.25. N02 ნაგებობა არის მოგვიანებით მიშენებული და ასევე 2 სართულს მოიცავს.ორივე შენობა-ნაგებობა ერთიან სივრცეს ქმნის. 2007 წელს მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა წყალტუბოს მერიას, ხოლო შენობა აღნაგობის ხელშეკრულებით ჰქონდა გადაცემული საპატრიარქოს, მისი წარმომადგენლობის უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ქუთაისისა და გაენათის მიტროპოლიტს კალისტრატეს, ერისკაცობაში შოთა მარგალიტაშვილს, პ/ნ 00001000354. 2022 წლის 25 აგვისტოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით მიწის ნაკვეთი მფლობელობაში გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს, რომლის წარმომადგენელმაც, მიტროპოლიტმა კალისტრატემ ნათხოვრობის უფლებით გადასცა აღნიშნული მიწის ნაკვეთი და შენობა ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიას არსებობის (არანაკლებ 10 წლის) ვადით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღსანიშავია, რომ სკოლა მდებარეობს 2400 კვ.მ ფართობზე და მას 3 მხრიდან ესაზღვრება არასასოფლო-სამეურნეო მიწის ვრცელი ნაკვეთები, ხშირი გამწვანებით. ეს ერთის მხრივ სკოლას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ამავდროულად **არსებითი მინიშვნელობა ენიჭება სკოლის ტერიტორიის შემოღობვას. სკოლა შემოღობილია მხოლოდ წინა პერიმეტრზე და ნაწილობრივ გვერდით პერიმეტრზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ეტაპობრივად იგეგმება სკოლის ეზოს სრული შემოღობვა.**<br><br>დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომუნიკაციების მენეჯერისა და ბუღალტრის ოთახები, რექტორის, პრორექტორისა და სასწავლო პროცესის კოორდინატორის ოთახები. სველი წერტილები მოსწავლეებისთვის (სამი კაბინით), მასწავლებლებისათვის და ასევე სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული საპირფარეშო.<br><br>გიმნაზიის მეორე სართულზეა 9 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კომპიუტერული ლაბორატორია. მეორე სართულზე განთავსებულია 1 საპირფარეშო სამი კაბინით.<br><br>სკოლაში ვიზიტის დროს, მეორე სართულის ფოიეში აღინიშნა მოაჯირის არამდგრადი მდგომარეობა. ექსპერტთა რეკომენდაციით, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე აღმოფხვრა აღნიშნული პრობლემა და მოხდა მოაჯირის გამაგრება ლითონის კონსტრუქციებით. |
| ***ფაქტობრივი მისამართი*** | ქ. წყალტუბო; 9 აპრილის მე-3 შესახვევი N-12. |
| ***მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი*** | 29.08.34.051 |
| ***კვ.მ.*** | 2400 კვ.მ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | 1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ––––––––––––––––

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. უზურფრუქტის ხელშეკრულება;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის საკლასო ოთახები (სულ - 16 საკლასო ოთახი) სრულადაა აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით: 330 მერხი და სკამი, 16 დაფა, ინდივიდუალური კარადები და თაროები, სხვადასხვა თვალსაჩინოებები, რომელთა მიზნობრივი გამოყენების შედეგები ასახულია როგორც საკლასო ოთახებში, ისე სასკოლო სივრცეში: კედლის გაზეთები, გამოფენები, პროექტის ფარგლებში შექმნილი რესურსები და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას პირველ სართულზე აქვს კარგად მოწყობილი, მაღალჭერიანი სპორტული დარბაზი-170 კვ.მ, სადაც შექმნილია გარემო კალათბურთის, ფრენბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის სწავლებისათვის. დარბაზს აქვს გასახდელები და სათავსო ოთახი, სადაც ინახება სპორტული ინვენტარი. სკოლას არ აქვს ღია სტადიონი, თუმცა აქვს საკმაოდ დიდი ეზო, რომელიც იძლევა არა მხოლოდ სტადიონის მშენებლობის შესაძლებლობას, არამედ რეკრეაციული ზონების მოწყობისაც, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ჯანსაღი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცხოვრების წესის დამკვიდრების მიმართულებით სკოლის აქტიურ ჩართულობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. შესყიდვის დოკუმენტაცია<br>2. ვიზუალური დათვალიერება |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. დაწესებულებაში განთავსებულია სველი წერტილი, არის ბუნებრივი განიავების საშუალება. სადემონსტრაციო თაროებსა და ვიტრინებში განთავსებულია ვიზუალური მასალა, მოდელები და მულაჟები. ექსპერიმენტისათვის საჭირო მასალა და ნივთიერებები მოთავსებულია შესაბამის კონტეინერებში და დაცულია ჩასაკეტი მექანიზმის მქონე კარადებში. ლაბორატორიაში არის ექსპერიმენტული სწავლებისათვის შესაფერისი გარემო.<br><br>ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში შესვლა შესაძლებელი იყო მუდმივმოქმედი საკლასო ოთახიდან, რაც ერთგვარად ზღუდავდა ლაბორატორიის ხელმისაწვდომობას. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის დასრულებისას ლაბორატორია გადაკეთდა კლას-კაბინეტად, სადაც სკოლას ეძლევა შესაძლებლობა შეუფერხებლად ჩაატაროს საბუნებისმეტყველო ჯგუფის საგნები ლაბორატორიაში საგაკვეთილო ცხრილთან კონფლიქტის გარეშე.<br><br>დაწსებულებაში ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია მუდმივ ქსელში ჩართული 17 პერსონალური კომპიუტერი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები. საკლასო ოთახები არის ნათელი. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა, საჭიროების შემთხვევაში არის ალტერნატიული გათბობის საშუალება-ელ.ღუმელები. დაწესებულებას აქვს საკუთარი ელ.გენერატორი.<br>სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები მოსწავლეებისათვის, ხოლო პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილი პედაგოგებისა და სსსმ პირებისათვის.<br><br>ვიზიტის პერიოდში, ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ მოსწავლეთა საპირფარეშოებში მოწყობილი იყო სამ-სამი კაბინა, რომელთაც არ ჰქონდათ შიდა კარები. ექსპერტების რეკომენდაციით, სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება N 1/22-003 სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში უნდა დასრულდეს საპირფარეშო კაბინების კარების მონტაჟი.<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა საპირფარეშოს ყველა კაბინაში კარების მონტაჟის ამსახველი ფოტო-მასალა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ხელშეკრულება N 1/22-003 სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე;<br>2. შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა, მრავალფეროვანი და კარგად ორგანიზებული წიგნადი ფონდით: 5045 ერთეული. ასევე სკოლას აქვს ყველა საგნის ერთი ეგზემპლარი გრიფირებული სახელმძღვანელო. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული გაზეთ ,,ახალ განათლებასთან" და „ახალ წყალტუბოსთან". კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ბიბლიოთეკის დებულება. წიგნები დალაგებულია თემატურად, წარმოდგენილია ანბანური კატალოგი და მკითხველთა ბარათები, წიგნები დამუშავებულია წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერითა და ქსეროქსის აპარატით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;<br>3. ბიბლიოთეკართან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა მეორე კორპუსის გვერდით შემოსასვლელში გაკეთებულია ბეტონის პანდუსი, საიდანაც ეტლით მოსარგებლე პირი შეძლებს სკოლაში შესვლას; სკოლას ასევე აქვს მოძრავი პანდუსი სართულებზე გადაადგილების მიზნით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რაც შეეხება საპირფარეშოს: სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ საპირფარეშოს დათვალიერებისას გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობა. კერძოდ, საპირფარეშოს შესასვლელი არის ვიწრო, ასევე საპირფარეშოს შიდა სივრცეში არის 30 სმ-მდე სიმაღლის ასასვლელი, რომელიც არის ბარიერი ეტლით მოსარგებლისათვის. **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული სველი წერტილის სრულად ადაპტირების შესახებ. ზემოაღნიშნული N 1/22-003 ხელშეკრულების ფარგლებში, სკოლა განაახლებს სსსმ მოსწავლეთათვის საპირფარეშოს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სველი წერტილის სრულად ადაპტირების ამსახველი ფოტო-მასალა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ხელშეკრულება N 1/22-003 სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე;<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. სკოლის რექტორთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიის კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის 17 პერსონალური კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 ქსეროქსი. 1 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, 2 რექტორის ოთახში, კანცელარიაში-1, სასწავლო პროცესის კოორდინატორთან-2. მთლიანობაში სკოლა ფლობს 23 პერსონალურ კომპიუტერსა და 3 ლეპტოპს (სულ- 26 კომპიუტერი) და 10 ქსეროქსის აპარატს.<br>ყველა კომპიუტერთან შეუზღუდავად არის ინტერნეტკავშირი. გიმნაზიის ვებგვერდია gabrielisgimnazia.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით Edupage. ვიზიტის დროს გიმნაზიამ წარმოადგინა როგორც დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულება, ისე ელ.ჟურნალის ხელშეკრულება. ასევე ხელშეკრულების შესაბამისად, გადახდის დოკუმენტები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. დომენისა და ინტერნეტის ხელშეკრულება;<br>2. სკოლის ვებ-გვერდი: gabrielisgimnazia.ge ;<br>3. ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>4. ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: |
|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შენობა აღჭურვილია თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. ყველა სართულზე განალაგებულია ცეცხლმაქრები, რომელთა გადამუხტვაც ხდება ექსპლუატაციის წესების შესაბამისად, ვადების დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ხანძრის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს და პასუხისმგებელ პირებს. შენობის ორივე სართულზე განთავსებულია ნიშნულები გასასვლელის ჩვენებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შენობის ორივე სართულზე, დერეფანში, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც დამზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, შპს ,,იმერეთის სახანძრო დაცვის" მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო ოთახი, რომელიც მოწყობილია 2022 წლის 21 მარტის 41/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს ექიმი-პედიატრი, რომლის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია ასევე შეესებამება ზემოხსენებული ბრძანების მოთხოვნებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების რეკომენდაციით, კაბინეტი შეივსო 41/ნ ბრძანებით განსაზღვრული რამდენიმე აუცილებელი სამედიცინო ნივთით (ინჰალატორი, სამედიცინო ჩანთა, და სხვ.). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ხელშეკრულება ექიმთან;<br>2. სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>3. ექიმთან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანების ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი და პირობების" შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს ,,ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. სამინისტროსთან შეთანხმების წერილი;<br>2. გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით. ვიზიტის დროს შენობის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 3 გარე კამერა: 2 შემოსასვლელს, ხოლო ერთი სკოლის გვერდით პერიმეტრს. სკოლის შიდა პერიმეტრი კი კონტროლდებოდა 7 კამერით.<br><br>**ვინაიდან სკოლა ფლობს ვრცელ ეზოს, რომელსაც 3 მხრიდან ესაზღვრება არასასოფლო-სამეურნეო მიწის ვრცელი ნაკვეთები ხშირი გამწვანებით, ექსპერტებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს სკოლის ეზოს პერიმეტრის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით სრულად გაკონტროლება.**<br><br>**ექსპერტების რეკომენდაციით, სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე მიიღო საჭირო ზომები და გარე პერიმეტრზე დაემატა 2, ხოლო შიდა პერიმეტრზე 2 ვიდეო-კამერა.** ამჟამად სკოლაში მიმდინარეობს შიდა და გარე პერიმეტრის სრული კონტროლი. ვიდეოსათვალთვალო კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა კამერების დამონტაჟების და მინიტორზე კადრების ამსახველი ფოტო-მასალა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>2. მომსახურების ხელშეკრულება;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გიმნაზიას შემუშავებული აქვს იურიდიული პირის წესდება, გიმნაზიის დებულება, შინაგანაწესი, პედსაბჭოს დებულება, კათედრის დებულება, დამრიგებლის დებულება, მშობელთა სათათბიროს დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, სამედიცინო ოთახის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება, საქმისწარმოების დებულება. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმა,გიმნაზიის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა და გიმნაზიის პროფესიული განვითარების გეგმა.<br><br>ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ამავე დროს არის კარგად ორგანიზებული, გიმნაზიის მიერ შემუშავებული ერთიანი დიზაინით.<br><br>გიმნაზიის დებულებაში გაწერილია საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე პირების უფლებამოსილებები და მართვის პრინციპები. დებულება დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით. გიმნაზიის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქ. ზაქარაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შინაგანაწესი სრულყოფილად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღწერს სკოლის მართვის პრინციპებს, სკოლაში დასაქმებულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, წახალისებისა და სახდელების გამჭვირვალე სისტემას, დასაქმებულის შრომის უფლებებს, ანაზღაურების წესსა და პირობებს. შინაგანაწესი დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორის მიერ.<br><br>დოკუმენტების ერთიანმა შესწავლამ გამოკვეთა მცირედი ტექნიკური ხასიათის აცდენები, მაგალითად მისიის ფორმულირება იყო რამდენადმე განსხვავებული სსგ-სა და დებულებაში. ვიზიტის დროს, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მოხდა აღნიშნული ტექნიკური აცდენების შესწორება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. იურიდიული პირის წესდება;<br>2. გიმნაზიის დებულება;<br>3. შინაგანაწესი;<br>4. პედსაბჭოს დებულება;<br>5. კათედრის დებულება;<br>6. მშობელთა სათათბიროს დებულება;<br>7. მშობელთან ურთიერთობის დებულება;<br>8. სამედიცინო ოთახის დებულება;<br>9. ბიბლიოთეკის დებულება;<br>10. ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;<br>11. საქმისწარმოების დებულება;<br>12. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმა;<br>13. გიმნაზიის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა;<br>14. გიმნაზიის პროფესიული განვითარების გეგმა;<br>15. ადმინისტრაციასთან გასაუბრება; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (2023-2029) წლების გეგმა. გეგმა შემუშავებულია სკოლის SWOT ანალიზის საფუძველზე. სკოლის ერთწლიანი სამოქმედი გეგმა გამომდინარეობს გრძელვადიანი გეგმიდან. წარმოდგენილი გეგმები მიმართულია სკოლის მისიის უზრუნველყოფისაკენ. გრძელვადიანი გეგმა დეტალურად აღწერს სკოლის განვითარებისათვის განსახორცილებელ არსებით საკითხებს.<br><br>**ვინაიდან სკოლის ტერიტორიაზე დაწყებულია ეზოს შემოღობვა და გასაუბრებით დგინდება, რომ ღობის დასრულება არის ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მხარე, დაწესებულებას მიეცა რჩევა, აღნიშნული საქმიანობა აღიწეროს სკოლის განვითარების ექვსწლიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი არგუმენტირებული პოზიციის შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ გიმნაზიის ეზოს შემოღობვის საკითხი შეტანილ იქნა სკოლის განვითარების გრძელვადიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა;<br>2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>3. SWOT ანალიზი. |
| **შეფასება:** | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა დაწესებულების ერთიანი საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შემოსული დოკუმენტაცია<br>• გასული დოკუმენტაცია<br>• შიდა დოკუმენტაცია<br><br>გიმნაზიაში იწარმოება საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა მობილობის ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალების გვერდები არის დანომრილი, ზონარგაყრილი და დალუქულია კანონმდებლობის შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. რეგისტრაციის ჟურნალები;<br>2. ინდ.სამართლებრივი აქტები;<br>3. ოქმები;<br>4. გიმნაზიის საქმისწარმოების წესი;<br>5. გასაუბრება საქმისმწარმოებელთან;<br>6. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | **ქვესტანდარტი 2.8.**<br><br>**ვინაიდან სკოლის ტერიტორიაზე დაწყებულია ეზოს შემოღობვა და გასაუბრებით დგინდება, რომ ღობის დასრულება არის ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მხარე, დაწესებულებას მიეცა რჩევა, აღნიშნული საქმიანობა აღიწეროს სკოლის განვითარების ექვსწლიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი არგუმენტირებული პოზიციის შესახებ. წერილში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნულია, რომ გიმნაზიის ეზოს შემოღობვის საკითხი შეტანილ იქნა სკოლის განვითარების გრძელვადიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის გიმნაზიაში დასაქმებულია შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი.<br><br>დაწესებულების ადმინისტრაციის წევრები არიან: რექტორი, პრორექტორი სასწავლო-ადმინისტრაციულ დარგში, პრორექტორი სასულიერო საგნების სწავლების დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, კომუნიკაციების მენეჯერი და ბუღალტერი. ასევე გიმნაზიის ექიმი, ფსიქოლოგი, IT სპეციალისტი, Edupage-ის ადმინისტრატორი, უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, დაცვის თანამშრომლები (დარაჯები), დამლაგებელი (2), მეეზოვე, გაზის ოპერატორი.<br><br>საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად გიმნაზიაში დასაქმებულია 34 მასწავლებელი, მათ შორის 3 დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პედაგოგი და 2 წრის ხელმძღვანელი (ინგლისური ენის წრისა და ქართული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგალობლებისა და ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი წრის პედაგოგები). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. გიმნაზიის საშტატო განრიგი;<br>2. გიმნაზიის დებულება;<br>3. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool;<br>4. თანამშრომელთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>5. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 34 |
| მოწვეული/მაძიებელი | 2 მოწვეული |
| პრაქტიკოსი მასწავლებელი | – |
| უფროსი მასწავლებელი | 17 |
| წამყვანი მასწავლებელი | 7 |
| მენტორის სტატუსი | – |

**შენიშვნა: დაწესებულებაში დასაქმებულია 3 მასწავლებელი სასტუსის გარეშე, შესაბამისი ხელშეკრულებით. 3 დამატებითი საგანმანთლებლო მომსახურების განმახორციელებელი პედაგოგი და 2 წრის ხელმძღვანელი.**

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პედაგოგები შერჩეულნი არიან კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br><br>დაწესებულებაში დასაქმებულია 17 უფროსი, 7 წამყვანი და 2 მოწვეული მასწავლებელი. 3 პედაგოგს არ აქვს სტატუსი, ხოლო 5 პირი დამატებითი სავალდებულო საგნისა და წრის მასწავლებელია.<br><br>გიმნაზიამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია პედაგოგთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსების შესახებ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიგ საგნებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ფიზიკური აღზრდა და სპორტი), დაწესებულებამ არაერთხელ გამოქვეყნა კონკურსი, თუმცა რეგიონში არსებული კადრების დეფიციტის გამო, დაფიქსირდა ძალზე დაბალი მომართვიანობა. აქედან გამომდინარე, გიმნაზიამ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის თანამდებობაზე დაასაქმა პედაგოგი შესაბამისი გამოცდილების საფუძველზე და გააფორმა მასთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება, ხოლო სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი დაასაქმა შესაბამისი განათლების საფუძველზე და გააფორმა მასთან 174/ნ ბრძანების N 13 მუხლის შესაბამისი ხელშეკრულება. ასეთივე ხელშეკრულებებია გაფორმებული სხვა ორ პედაგოგთან, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საგნის გამოცდა, მაგრამ ჯერ არ მოუპოვებიათ მასწავლებლის სტატუსი.<br><br>ვიზიტის განმავლობაში დადგინდა, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს, რომელთანაც გაფორმებული იყო მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება, საგაკვეთილო ბადეში უფიქსირდებოდა 9.5 საათი. **შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მეტობით არსებული საათები გადაენაწილებინა დაწყებითი საფეხურის წამყვანი მასწავლებლისთვის, რომელსაც ჰქონდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების ხანგრძლივი გამოცდილება. გიმნაზიამ აღნიშნული საკითხი მოაგვარა ვიზიტის პერიოდში და წარმოადგინა შესაბამისად დაკორექტირებული ხელშეკრულებები, საშტატო განრიგი და საგაკვეთილო ცხრილი.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. გიმნაზიის საშტატო განრიგი;<br>2. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool;<br>3. მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>4. კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>5. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს, აგრეთვე წახალისებისა და სანქციების სისტემას. შემუშავებულია მასწავლებლი ვაკანტური ადგილის დასაკავებლადკონკურსის ჩატარების წესი. საკონკურსო განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ გვერდზე teachersjobs.ge-ზე. განაცხადების განხილვის შემდეგ ტარდება გასაუბრება შერჩეულ კანდიდატებთან რექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, ხოლო შერჩეულ კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით. ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გიმნაზიის რექტორი კანდიდატის მიერ გაწეული საქმიანობის ანალიზის საფუძველზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. გიმნაზიის შინაგანაწესი;<br>2. ხელშეკრულებები მასწავლებლებთან და პერსონალთან;<br>3. მასწავლებლის ვაკანტურის ადგილის დასამატებლად კონკურსის ჩატარების წესი. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მასწავლებლებთან და პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას.<br><br>პედაგოგებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები. თუმცა, წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებებში არ ფიქსირდებოდა წამყვანი მასწავლებლის მინიმუმ ოთხი ფუნქცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წამყვან პედაგოგებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მათთვის 174/ნ წესით განსაზრული ფუნქციები და მიაჩნდათ, რომ მნიშვნელოვანი იყო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ყველა მათგანის შესრულება. **მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციის წევრებმა მიიღეს ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის დროს შრომით ხელშეკრულებებში დანართის სახით დაამატეს წამყვანი მასწავლებლის ფუნქციები.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. გიმნაზიის საშტატო განრიგი;<br>2. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool;<br>3. თანამშრომელთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული ზრდის და განვითარების ხელშეწყობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი. სკოლა ზრუნავს დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენას და პასუხისმგებლობის დელეგირებას. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმის დანერგვა-განხორციელებას. მის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია გავლილი და გასავლელი ტრენინგების ნუსხა, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მონაწილეობითა და მათი საჭიროებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ტრენინგების გარკვეული რაოდენობა დაფინანსებულია გიმნაზიის რექტორის მიერ.<br><br>გიმნაზიაში ასევე მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც შემუშავებული აქვს დებულება. დებულებაში გაწერილია ხარისხის ჯგუფის მოქმედების წესი და პირობები. ხარისხის ჯგუფს ევალება მასწავლებლის მიერ პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესრულების ანალიზი გაკვეთილზე დასწრება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი;<br>2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>3. ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან<br>4. ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში.<br>5. მასწავლებლებთან გასაუბრება |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა ზრუნავს დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შესაქმნელად. გუნდურობა, მაღალი თანამშრომლობითი კულტურა ქმნის დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობის განცდას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას. მშობლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სკოლა თემში სარგებლობს ნდობითა და ავტორიტეტით. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის შექმნილია გარემო შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენისათვის. სწორად დელეგირებული ფუნქციები ზრდის თანამშრომელთა ეფექტურობასა და საქმიანობის ხარისხს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. ინტერვიუ მშობლებთან;<br>2. ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>3. ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>4. გასაუბრება ადმინისტრაციასთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 20.01.2023

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: **49**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.